ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის

მემორანდუმზე ხელისმომწერი მხარეები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, აღიარებენ ინტერესს, ხელი შეუწყონ სახელოვნებო განათლების განვითარებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო ერთობლივი პროექტების განხორციელებას და ეყრდნობიან თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს.

- სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
- სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზემოთხსენებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

ამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (შემდგომში - მემორანდუმი), მხარეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოხატავენ ერთობლივი პროექტის - **სტუდენტური კინო დაჯილდოება „ოქროს რტო"** - განხორციელების სურვილს. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია გაიმართება წელიწადში ერთხელ.

მუხლი 2

მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა ურთიერთთანამშრომლობა მოიცავს:

ა) ერთობლივ საქმიანობას შემოქმედებით სფეროში;

ბ) ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას;

გ) მონაწილეობას სამუშაო შეხვედრებში;

დ) სახელოვნებო განათლების სფეროში არსებული მიღწევების ურთიერთგაზიარებას;

ე) ინფორმაციის ურთიერთგაცვლას;

ვ) სტუდენტების ჩართულობას, გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობას;

ზ) უნივერსიტეტების ბაზაზე ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარებას და ამ მიზნით მხარეთა კუთვნილებაში არსებული სივრცეების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინტელექტუალური რესურსის გამოყენებას.

მუხლი 3

ამ მემორანდუმის საფუძველზე შესრულებული კონკრეტული პროექტის და აქტივობის ორგანიზება, პირობები, დაფინანსება და მასთან დაკავშირებული თემები განისაზღვრება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

მუხლი 4

მემორანდუმიდან გამომდინარე ნებისმიერი ქმედება საჯაროა, რომელიც შესაძლებელია თავისუფლად გაშუქდეს მედია საშუალებებით. თუ მემორანდუმის რომელიმე მხარე დაინტერესებულია რაიმე დოკუმენტის და ქმედების კონფიდენციალურობით, იგი ვალდებულია წინასწარ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობით.

მუხლი 5

მემორანდუმში დასაშვებია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით, მემორანდუმის ძალაში შესვლისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 6

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყვეტილ იქნას მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან ერთ-ერთი მხარის მიერ მემორანდუმის სხვა მხარეებისთვის წინასწარ, 1 (ერთი) თვით ადრე მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, წერილობით შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 7

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 5 (ხუთი) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

ხელმომწერი მხარეები:

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი: გიორგი მარგველაშვილი

მის: 0108 თბილისი, საქართველო, რუსთაველის გამზირი № 19

ს/კ: 203851028



სსიპ აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რექტორი: გიორგი გუგუშვილი

მის: 0108 თბილისი, საქართველო, გრიბოედოვის ქუჩა № 22

ს/კ: 203851545



სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

რექტორი: რეზო კიკნაძე

მის: 0108 თბილისი, საქართველო, გრიბოედოვის ქუჩა № 8-10

ს/კ: 203850813

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი: გიორგი შარვაშიძე

მის: 0179 თბილისი, საქართველო, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1

ს/კ: 204864548

სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რექტორი: მაია ჭიჭილეიშვილი

მის: 6004 ბათუმი, საქართველო, ლუკა ასათიანის ქუჩა №37

ს/კ: 245628496

თბილისი, საქართველო

22 იანვარი, 2019 წელი